შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №4519

2023 წლის 10 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №9):

ა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) გადამხდელთა მომსახურების სამმართველო;

ბ) საკონსულტაციო და საინფორმაციო სამმართველო;

გ) მონაცემთა დამუშავების სამმართველო;

დ) აღრიცხვის და სტატისტიკის სამმართველო;

ე) სათამაშო ბიზნესის რეგულირების სამმართველო;

ვ) თბილისის სერვისცენტრი;

ზ) მცხეთის სერვისცენტრი;

თ) რუსთავის სერვისცენტრი;

ი) მარნეულის სერვისცენტრი;

კ) თელავის სერვისცენტრი;

ლ) გორის სერვისცენტრი;

მ) ახალციხის სერვისცენტრი;

ნ) ზესტაფონის სერვისცენტრი;

ო) ქუთაისის სერვისცენტრი;

პ) ოზურგეთის სერვისცენტრი;

ჟ) ფოთის სერვისცენტრი;

რ) ზუგდიდის სერვისცენტრი;

ს) ბათუმის სერვისცენტრი.“.

ბ) მე-8 მუხლის:

ბ.ა) „წ^{1}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წ^{1}) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვა (გარდა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირებისა და ფიზიკური პირებისა), საგადასახადო აღრიცხვაში ცვლილებების შეტანა, საგადასახადო აღრიცხვის გაუქმება და გადასახადის გადამხდელებზე რეგისტრაციისათვის აუცილებელი სარეგისტრაციო ფორმების გაცემა;“;

ბ.ბ) „ჯ^{1}“ და „ჯ^{4}“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

გ) მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ზ) ვიდეოზარით შემდეგი მომსახურების გაწევა – ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის აქტივაცია, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის ელექტრონული ფორმით კომუნიკაციისას გამოსაყენებელი სახელწოდების (მომხმარებლის)/პაროლის აღდგენა, ავტორიზებული მომხმარებლის

გვერდზე მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის ცვლილება;“.

დ) მე-12 მუხლის:

დ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მომსახურე ბანკის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის (tax free) ბანკისთვის დაბრუნება, რომელიც არ მოექცა ავტომატური დაბრუნების რეჟიმში; შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და მისი წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისთვის;“;

დ.ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დროებით შემოტანის სპეციალურ პროცედურაში მოქცეული, იმპორტის გადასახდელის გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის განრიგის მონაცემების შეტანა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში განრიგის შეწყვეტის/გაუქმების შემთხვევაში;“;

დ.გ) „ზ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სამართალდარღვევის ოქმების ან/და ბრძანებების გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე ასახვა და შესაბამისი ინფორმაციის მომზადება; მათ შორის, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის ბარათზე დარიცხული თანხის ცვლილების შესახებ ბრძანების გამოცემა და გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვა;“;

დ.დ) „ჰ^{1}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{1}) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო დეკლარაციების და ანგარიშგების სხვა ფორმების მონაცემების შეტანა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და საჭიროებისამებრ დაპაკეტება, რომელთა ასახვა გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში არ ხდება ავტომატურ რეჟიმში;“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 13 მარტიდან.

სამსახურის უფროსი **ლევან კაკავა**